შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ . თბილისი **30 მაისი, 2018 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ - ს/კ 405255165 (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ეკატერინე ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვასილ მაღლაფერიძის სახით, ვხელმძღვანელობთ-რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“-სა (ს/კ 405255165) და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ -ს შორის 2018 წლის 17 აპრილს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N18/10/12 ხელშეკრულების (ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“-ს *მიერ დამზადებული „*ცინცაძე კარტოზიას გზაგამტარი“ *საინფორმაციო ვიდეორგოლის განთავსება სატელევიზიო ეთერში,)* თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურება უნდა განხორციელდეს შეწონილი რეიტინგების შესაბამისად, ხოლო, ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.10 პუნქტის შესაბამისად, „მედიაგეგმის (გრაფიკი) მიხედვით საანგარიშო პერიოდისათვის დაგეგმილ (მოსალოდნელ) სატელევიზიო რეიტინგსა (wGRP) და აღნიშნული მედიაგეგმის (გრაფიკის) შედეგად ამავე საანგარიში პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებულ სატელევიზიო რეიტინგს (wGRP) შორის სხვაობის შემთხვევაში, ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი წესით: ა) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგი (დაკორექტირებული wGRP) არ აღემატება ამავე პერიოდისათვის დაგეგმილი (მოსალოდნელი) რეიტინგის (wGRP) 110%-ს, ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგის (დაკორექტირებული) ღირებულების შესაბამისად. ბ) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგი (დაკორექტირებული wGRP) აღემატება ამავე პერიოდისათვის დაგეგმილი (მოსალოდნელი) რეიტინგის (wGRP) 110%-ს, ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ 110%-ის ოდენობის რეიტინგის ღირებულების შესაბამისად. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018 წლის 11 მაისის N10/01181312714-69 და 2018 წლის 29 მაისის 10/01181492962-69 წერილებით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით ირკვევა, რომ ვიდეო რგოლის შეწონილმა რეიტინგმა შეადგინა 110 %-ზე ნაკლები, რის გამოც, ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად დაგროვებული რეიტინგის (დაკორექტირებული) ღირებულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1.1 შეტანილ იქნას ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შემცირდეს 187.20 ლარით და ნაცვლად 2 469.60 ლარისა, განისაზღვროს 2 282.40 ლარით.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 17 აპრილს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N18/10/12 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, ჟ შარტავას ქ. №7 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა №07020402 ს/კოდი: 405255165	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა №707787128 ს/კოდი: 204858163
დირექტორი	**გენერალური დირექტორი**
ე.ჯოჯუა	**ვ.მაღლაფერიძე**